

## ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ 77-ე მუხლის მე-7 ნაწილის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

### ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტი

#### თავი I. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

##### მუხლი 1. ბიუჯეტის ბალანსი

ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა			2023 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
<b>I. შემოსავლები</b>	<b>14,647.9</b>	<b>15,628.5</b>	<b>10,163.4</b>	<b>5,465.1</b>	<b>11,634.0</b>	<b>11,634.0</b>	
გადასახადები	7,736.5	9,565.0	9,565.0		10,983.6	10,983.6	
გრანტები	6,235.6	5,665.1	200.0	5,465.1	220.0	220.0	
სხვა შემოსავლები	675.8	398.4	398.4		430.4	430.4	
<b>II. ხარჯები</b>	<b>5,250.3</b>	<b>7,877.0</b>	<b>7,810.4</b>	<b>66.6</b>	<b>8,685.3</b>	<b>8,685.3</b>	
შრომის ანაზღაურება	1,090.4	1,994.6	1,994.6		2,279.5	2,279.5	
საკონელი და მომსახურება	1,318.9	2,008.8	1,942.2	66.6	2,104.0	2,104.0	
პროცენტი	106.9	95.7	95.7		80.2	80.2	
სუბსიდიები	1,965.6	2,714.8	2,714.8		3,099.7	3,099.7	
გრანტები	63.0	65.0	65.0		65.0	65.0	
სოციალური უზრუნველყოფა	559.1	610.0	610.0		632.0	632.0	
სხვა ხარჯები	146.3	388.2	388.2		424.9	424.9	
<b>III. საოპერაციო საღდო</b>	<b>9,397.7</b>	<b>7,751.5</b>	<b>2,353.0</b>	<b>5,398.5</b>	<b>2,948.7</b>	<b>2,948.7</b>	
<b>IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>8,193.1</b>	<b>11,762.4</b>	<b>6,263.5</b>	<b>5,498.8</b>	<b>2,820.5</b>	<b>2,820.5</b>	
ზრდა	8,318.3	11,874.6	6,375.8	5,498.8	2,850.5	2,850.5	
კლება	125.2	112.3	112.3		30.0	30.0	
<b>V. მთლიანი საღდო</b>	<b>1,204.6</b>	<b>-4,010.9</b>	<b>-3,910.6</b>	<b>-100.3</b>	<b>128.2</b>	<b>128.2</b>	
<b>VI. ფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>1,091.9</b>	<b>-4,130.9</b>	<b>-4,030.6</b>	<b>-100.3</b>			
ზრდა		-	-	-			
ვალუტა და დეპოზიტები		-	-				
კლება	-1,091.9	4,130.9	4,030.6	100.3			
ვალუტა და დეპოზიტები	-1,091.9	4,130.9	4,030.6	100.0			
<b>VII. ვალდებულებების ცვლილება</b>	<b>-112.7</b>	<b>-120,0</b>	<b>-120,0</b>		<b>-128.2</b>	<b>-128.2</b>	
კლება	112.7	120,0	120,0		128.2	128.2	

საშინაო	112.7	120,0	120,0		128.2	128.2	
სესხები	112.7	120,0	120,0		128.2	128.2	
სხვა კრედიტორული დავალიანებები	-	-	-				
<b>VIII. ბალანსი</b>	<b>0,0</b>	<b>0,0</b>	<b>0,0</b>	<b>0,0</b>	<b>0,0</b>	<b>0,0</b>	<b>0.0</b>

## მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა			2023 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
<b>შემოსულობები</b>	<b>14.773.1</b>	<b>15,740.8</b>	<b>10,275.7</b>	<b>5,465.1</b>	<b>11,664.0</b>	<b>11,664.0</b>	
შემოსავლები	14.647.9	15,628.5	10,163.4	5,465.1	11,634.0	11,634.0	
არაფინანსური აქტივების კლება	125.2	112.3	112.3		30.0	30.0	
<b>გადასახდელები</b>	<b>13.681.2</b>	<b>19,871.6</b>	<b>14,306.2</b>	<b>5,565.4</b>	<b>11,664.0</b>	<b>11,664.0</b>	
ხარჯები	5,250.3	7,877.0	7,810.4	66.6	8,685.3	8,685.3	
არაფინანსური აქტივების ზრდა	8.318.3	11,874.6	6,375.8	5,498.8	2,850.5	2,850.5	
ვალდებულებების კლება	112.7	120.0	120.0		128.2	128.2	
<b>ნაშთის ცვლილება</b>	<b>1.091.9</b>	<b>-4,130.9</b>	<b>-4,030.6</b>	<b>-100.3</b>			

## მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები

ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს 11 634.0 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა			2023 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
<b>შემოსავლები</b>	<b>14.647.9</b>	15,628.5	10,163.4	5,465.1	11,634.0	11,634.0	
გადასახადები	7,736.5	9,565.0	9,565.0		10,983.6	10,983.6	
გრანტები	6.235.6	5,665.1	200.0	5,465.1	220.0	220.0	
სხვა შემოსავლები	675.8	398.4	398.4		430.4	430.4	

## მუხლი 4. ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები განისაზღვროს 10 983.600 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა			2023 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები

<b>გადასახადები</b>	<b>7,736.5</b>	9,565.0	9,565.0		10,983.6	10,983.6	
საშემოსავლო გადასახადი							
დამატებითი ღირებულების გადასახადი	4,124.2	5,465.0	5,465.0		6,833.6	6,833.6	
ქონების გადასახადი	3,612.3	4,100.0	4,100.0		4,150.0	4,150.0	
საკართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	2,793.0	3,260.0	3,260.0		3,300.0	3,300.0	
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)							
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	3.8						
სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	412.9	440.0	440.0		450.0	450.0	
არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	402.6	400.0	400.0		400.0	400.0	

### მუხლი 5. ბიუჯეტის გრანტები

ბიუჯეტის გრანტები განისაზღვროს 220.0 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის პროექტი
<b>გრანტები</b>	<b>6,235.6</b>	<b>5,665.1</b>	<b>220.0</b>
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები			
გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	6,235.6	5,665.1	220.0
გათანაბრებითი ტრანსფერი			
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	180.0	200.0	220.0
კაპიტალური ტრანსფერი			
<b>ფონდის გამოყოფილი ტრანსფერი, მათ შორის :</b>	<b>6,055.6</b>	<b>5,465.1</b>	
რეგიონების განსახორციელებელი პროექტების ფონდი	5,211.6	4,556.6	
მაღალმთიანი დასახლების განვითარების ფონდი	400.0	464.6	
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	444.0	444.0	

### მუხლი 6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

ბიუჯეტის სხვა შემოსავლები განისაზღვროს 430.400 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის პროექტი
<b>სხვა შემოსავლები</b>	<b>675.8</b>	<b>398.4</b>	<b>430.4</b>
შემოსავლები საკუთრებიდან	482.6	264.4	200.0
პროცენტი	63.0	114.1	50.0

რენტა	419.6	150.3	150.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	56.3	44.0	47.0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდებლები	47.5	37.0	40.0
სანებართვო მოსაკრებელი	17.8	12.0	15.0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	7.6	5.0	3.0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი			
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	22.1	20.0	22.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	8.8	7.0	7.0
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	137.0	90.0	183.4
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები			

**მუხლი 7. ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით**  
 ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს 8,685.300 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა			2023 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
<b>ხარჯები</b>	<b>5,250.3</b>	<b>7,877.0</b>	<b>7,810.4</b>	<b>66.6</b>	<b>8,685.3</b>	<b>8,685.3</b>	
შრომის ანაზღაურება	1,090.4	1,994.6	1,994.6		2,279.5	2,279.5	
საქონელი და მომსახურება	1,318.9	2,008.8	1,942.2	66.6	2,104.0	2,104.0	
პროცენტები	106.9	95.7	95.7		80.2	80.2	
სუბსიდიები	1,965.6	2,714.8	2,714.8		3,099.7	3,099.7	
გრანტები	63.0	65.0	65.0		65.0	65.0	
სოციალური უზრუნველყოფა	559.1	610.0	610.0		632.0	632.0	
სხვა ხარჯები	146.3	388.2	388.2		424.9	424.9	

**მუხლი 8. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება**

ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 2 820.5 ათასი ლარით. მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდა 2 850.5 ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება 30.0 ათასი ლარით:

ათას ლარში

პროგ. კოდი	არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის პროექტი
<b>01 00</b>	<b>მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები</b>	<b>69.8</b>	<b>257.3</b>	<b>271.5</b>
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	51.7	257.3	271.5
01 02 02	წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა	18,2		
<b>02 00</b>	<b>ინფრასტრუქტურის განვითარება</b>	<b>7.694.3</b>	<b>11,526.5</b>	<b>2,579.0</b>
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	5.796.7	6,790.3	450.0
02 02	წყლის სისტემების განვითარება	17.8	429.6	80.0
02 03	გარე განათება	3.6	187.9	
02 04	მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია		292.7	750.0

02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	1,339.8	3,068.6	1,099.0
02 07	მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება	430.1	444.0	
02 08	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა	106.2	313.3	200.0
02 09	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია			
<b>03 00</b>	<b>დასუფთავება და გარემოს დაცვა</b>			
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა			
03 05	მდინარეზე ნაგვის დამჭერის მოწყობა			
<b>04 00</b>	<b>განათლება</b>			
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება			
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა			
04 03	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	544.4	90.8	
<b>05 00</b>	<b>კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი</b>	<b>8.6</b>		
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	3.5		
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	5.1		
<b>06 00</b>	<b>ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა</b>	<b>1.2</b>		
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	1.2		
	<b>სულ არაფინანსური აქტივების ზრდა</b>	<b>8,318.3</b>	<b>11,874.6</b>	<b>2,850.5</b>

ათას ლარში

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის პროექტი
<b>არაფინანსური აქტივების კლება</b>	<b>125.2</b>	<b>112.3</b>	<b>30.0</b>
ძირითადი აქტივები	97.3	82.1	
არაწარმოებული აქტივები	27.9	30.2	30.0
მიწა	27.9	30.2	30.0

## მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ქრილში შემდეგი რეადაქციით:

ათას ლარში

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის პროექტი
7.1	<b>საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება</b>	<b>2,292.4</b>	<b>4,170.0</b>	<b>4,544.5</b>
7.1.1	ადმსარეულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2,072.8	3,954.4	4,336.1
7.1.1.1	ადმსარეულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2,054.7	3,774.4	4,106.1
7.1.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	18.2	180.0	230.0
7.1.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	219.6	215.7	208.4
<b>7.2</b>	<b>თავდაცვა</b>	<b>64.6</b>	<b>118.4</b>	<b>132.8</b>
7.2.2	სამოქალაქო თავდაცვა	64.6	118.4	132.8
<b>7.4</b>	<b>ეკონომიკური საქმიანობა</b>	<b>6,313.3</b>	<b>7,427.0</b>	<b>640.0</b>

7.4 5	ტრანსპორტი	6.313.3	7,427.0	640.0
7.4 5 1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	5.879.5	6,983.0	640.0
7.4 5 5	მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები	433.7	444.0	
<b>7.5</b>	<b>გარემოს დაცვა</b>	<b>339.0</b>	<b>400.4</b>	<b>452.0</b>
7.5 1	ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება	339.0	400.4	452.0
<b>7.6</b>	<b>საბინაო კომუნალური მეურნეობა</b>	<b>1.859.6</b>	<b>4,648.2</b>	<b>2,529.0</b>
7.6 1	ბინათმშენებლობა		292.7	750.0
7.6 2	კომუნალური მეურნეობის განვითარება			
7.6 3	წყალმომარაგება	17.8	<b>429.6</b>	<b>80.0</b>
7.6 4	გარე განათება	301.4	543.9	400.0
7.6 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში	1.540.4	<b>3,382.0</b>	<b>1,299.0</b>
<b>7.7</b>	<b>ჯანმრთელობის დაცვა</b>	<b>143.5</b>	<b>177.0</b>	<b>152.0</b>
7.7 4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	143.5	177.0	152.0
<b>7.8</b>	<b>დასვენება, კულტურა და რელიგია</b>	<b>783.8</b>	<b>1,016.6</b>	<b>1,121.0</b>
7.8 1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	292.9	335.0	385.0
7.8 2	მომსახურება კულტურის სფეროში	420.9	606.6	661.0
7.8 4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	70.0	75.0	75.0
<b>7.9</b>	<b>განათლება</b>	<b>906.6</b>	<b>1,319.0</b>	
7.9 1	სკოლამდელი აღზრდა	362.2	1,228.2	
7.9 2	ზოგადი განათლება	544.4	90.8	
7.9 2 2	საბაზო ზოგადი განათლება	544.4	90.8	
<b>7 10</b>	<b>სოციალური დაცვა</b>	<b>565.4</b>	<b>595.0</b>	<b>617.0</b>
7 10 1	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	9.7	18.0	15.0
7 10 2	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა			
7 10 4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	45.7	57.0	52.0
7 10 7	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას			
7 10 9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	510.1	520.0	550.0
	სულ	<b>13.268.3</b>	<b>19,871.6</b>	<b>10.188.3</b>

## მუხლი 10. ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვროს 128.2 ათასი ლარით, ხოლო საოპერაციო სალდო 2 948.7 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის პროექტი
საოპერაციო სალდო	9.397.7	7,751.5	2,948.7
მთლიანი სალდო	1.204.6	-4,010.9	128.2

## მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 0 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის პროექტი
ფინანსური აქტივების ცვლილება	1,091.9	-4,130.9	
ზრდა			
ვალუტა და დეპოზიტი			
კლება	-1,091.9	4,130.9	
ვალუტა და დეპოზიტი	-1,091.9	4,130.9	

## მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვროს 128.2 ათასი ლარით.

### თავი II. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები

## მუხლი 13. ინფრასტრუქტურის განვითარება

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 3 169.0 ათასი ლარი. ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2023 წლის გეგმა
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	3,169.0
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	640.0
02 01 01	გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციის მოვლა -შენახვის ხარჯი	600.0
02 01 02	ხიდების რეაბილიტაცია	
02 01 03	ქ. ნინოწმინდის შუქნიშნების და ტრაფარეტების დამონტაჟება	10.0
02 01 04	ქ. ნინოწმინდის რაღარების მანტაჟი	30.0
02 02	წყლის სისტემების განვითარება	80.0
02 02 01	საკანალიზაციო სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებები	80.0
02 02 02	სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია	
02 03	გარე განათება	400.0
02 03 01	გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია	280.0
02 03 02	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	120.0
02 04	მშენებლობა, ავარიული ობექტების და შენობების რეაბილიტაცია	750.0
02 04 01	მრავალსართულიანი საცხოვრებელი შენობის და სახურავების რეაბილიტაცია	600.0
02 04 02	ადმინისტრაციული შენობების რეაბილიტაცია და კეთილმოწყობა	150.0

02 06	<b>კეთილმოწყობის ღონისძიებები</b>	1,099.0
02 06 01	რიტუალების სახლების, კულტურული ობიექტების რეაბილიტაცია და სპორტული დარბაზის მშენებლობა	1,029.0
02 06 02	ქ. ნინოწმინდის ტროტუარების კეთილმოწყობა	70.0
02 07	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები	
02 08	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა	200.0

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	<b>გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციის მოვლა - შენახვის ხარჯი</b>	დაფინანსება ათას ლარში
	<b>02 01 01</b>		<b>600.0</b>
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის მიზანია საგზაო ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება, ტრანსპორტის და მოსახლეობის შეუფერხებელი გადაადგილება. თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საგზაო ინფრასტრუქტურის შექმნა.</p> <p>პროექტით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის გზების რეაბილიტაცია, გზების მოვლა-შენახვისა და ზამთრის პერიოდში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 90 კმ სიგრძის ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე გზების თოვლისგან გაწმენდის სამუშაოები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- გზების მოვლა -პატრონობა.</li> <li>- ჯაფარიძის ქუჩის მოასფალტება.</li> </ul>		
მოსალოდნელი შედეგი	მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება. მუნიციპალიტეტის საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	<b>ქ. ნინოწმინდის შუქნიშნების და ტრაფარეტების დამონტაჟება</b>	დაფინანსება ათას ლარში
	<b>02 01 03</b>		<b>10.0</b>
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური		

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსაფრთხო გარემოს შექმნა , ქალაქში შეუფერხებელი მგზავრობისა და გადაადგილების უზრუნველყოფა.</p> <p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ქალაქის ადგილობრივი გზების დამონტაჟება შუქნიშნებით</p> <p>-შუქნიშნების შექმნა და ახალი შუქნიშნების მონტაჟი.</p> <p>-საგზაო ნიშნების შექმნა და მონტაჟი.</p>
მოსალოდნელი შედეგი	<p>სტანდარტებთან შესაბამისობაში არსებული გზების უზრუნველყოფა.</p> <p>მოსახლეობის მხრიდან საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის შემცირებული ფაქტები.</p>

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი <b>02 01 04</b>	<b>ქ. ნინოწმინდის რაღარების მანტაჟი</b>	დაფინანსება ათას ლარში <b>30.0</b>
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსაფრთხო გარემოს შექმნა , ქალაქში შეუფერხებელი მგზავრობის და გადაადგილების უზრუნველყოფა.</p> <p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ქალაქის ადგილობრივი გზების ვიდეომეთვალყურეობის კამერების მანტაჟი, სარკების შექმნა და მონტაჟი.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	სტანდარტებთან შესაბამისობაში არსებული გზების უზრუნველყოფა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი <b>02 02 01</b>	<b>საკანალიზაციო სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებები</b>	დაფინანსება ათას ლარში <b>80.0</b>
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება უშუალოდ ქალაქ ნინოწმინდის საკანალიზაციო სისტემის მიწოდების ხელშეწყობა, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება საკანალიზაციო სისტემის ექსპლოატაციაზე გახარჯული ღირებულების გადახდა.</p> <p>-ჰოვსეფიანის ქუჩაზე მდებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის საკანალიზაციო სისტემის მოწყობა.</p>		

მოსალოდნელი შედეგი	ხარისხიანი საკანალიზაციო სისტემით უზრუნველყოფილი მუნიციპალიტეტის მოსახლეობა.
--------------------	--

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 03 01		280.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერიის და ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების სისტემის შექმნა და ღამის საათებში მუნიციპალიტეტის ქუჩების და საზოგადოებრივი სივრცეების განათება. პროგრამა ასევე მოიცავს გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურებას .		
მოსალოდნელი შედეგი	განათებული ტერიტორია.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 03 02		120.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის კომუნალური კეთილმოწყობის და დასუფთავების სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებების დროულად აღმოფხვრა. მუნიციპალიტეტში გარე განათების ქსელით მოცულია დასახლებული ტერიტორიების 90%. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რომელიც მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს: - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლა; - ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბოძების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება; - დაზიანებული სადენების აღდგენა, შეკეთება.		
მოსალოდნელი შედეგი	მთელი წლის მანძილზე გამართულად ფუნქციონირებული გარე განათების სისტემა. პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებები აღმოფხვრილია დროულად. მუნიციპალიტეტში გარე განათების ქსელით მოცულია დასახლებული		

	ტერიტორიების 80%.		
ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	<b>მრავალსართულიანი საცხოვრებელი შენობის და სახურავების რეაბილიტაცია</b>	დაფინანსება ათას ლარში
	<b>02 04 01</b>		<b>600.0</b>
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში არსებული მრავალსართულიანი საცხოვრებელი შენობის კარების და სახურავების რეაბილიტაცია. -ქ.ნინოწმინდაში მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების ფასადების რეაბილიტაცია და კეთილმოწყობა.		
მოსალოდნელი შედეგი	კომფორტით უზრუნველყოფილი საცხოვრებელი ტერიტორია.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	<b>ადმინისტრაციული შენობების რეაბილიტაცია და კეთილმოწყობა</b>	დაფინანსება ათას ლარში
	<b>02 04 02</b>		<b>150.0</b>
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი და აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების სრულყოფილად და ეფექტურად განხორციელება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შენობების რეაბილიტაცია/ მშენებლობა , საექსპლუატაციო პირობების შენარჩუნება, მოსახლეობისთვის უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნა. - ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული და ავტოფარეხების შენობების რეაბილიტაცია.		
მოსალოდნელი შედეგი	კომფორტით უზრუნველყოფილი ადმინისტრაციული შენობები.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	<b>რიტუალების სახლების, კულტურული ობიექტების რეაბილიტაცია და სპორტული დარბაზის მშენებლობა</b>	დაფინანსება ათას ლარში
	<b>02 06 01</b>		<b>1 029.0</b>
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური		

<p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>ქვეპროგრამის მიზანია დაზიანებული ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაცია, კეთილმოწყობა. მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარებისაკენ მიმართული მრავალმხრივი სამუშაოები, რათა გაუმჯობესდეს არსებული ინფრასტრუქტურა. არსებული რიტუალების სახლების საექსპლუატაციო პირობების შენარჩუნება და გაუმჯობესება.</p> <p>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა,</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- ქ. ნინოწმინდაში ჭოჭაშენის უბნის, სათხაში და დიდი ხანჩალში საბავშვო სათამაშო მოედნების შექმნა და მონტაჟი</li> <li>- ნაგვის ურნების შექმნა</li> <li>- ქ. ნინოწმინდაში ჰაიოს -ქართლოსის და ცენტრალური პარკების მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობა.</li> </ul>
<p>მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>შედეგიანი ჩატარებული კეთილმოწყობითი ღონისძიებები. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.</p>

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ქ. ნინოწმინდის ტროტუარების კეთილმოწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	02 06 02		70.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის მიზანია მოსახლეობისათვის კომფორტული, მიმზიდველი და უსაფრთხო გარემოს შექმნა.</p> <p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ტროტუარების შეკეთება.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- ქ. ნინოწმინდის ხიდის გარშემო ტერიტორიის კეთილმოწყობა.</li> </ul>		
მოსალოდნელი შედეგი	კეთილმოწყობილი საყოფაცხოვრებო პირობები და მოსახლეობის დაკმაყოფილების დონის ამაღლება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა	დაფინანსება ათას ლარში
-------------------------	------	--	------------------------

	02 08	200.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი პროექტებისათვის დროულად და კვალიფიციურად მოხდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. ასევე, პროექტების განხორციელებისას ჩატარებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა მათზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების გზით.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. ამასთან, იმ ხელშეკრულებებზე რომელთა ღირებულება არ აღემატება 50.0 ათას ლარს პროექტის შემდგენი ახორციელებს შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზას. ამ პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება 50.0 ლარზე მეტი თანხის ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა.</p>	
მოსალოდნელი შედეგი	შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების მაღალი ხარისხი. ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი სამშენებლო ნორმების (სტანდარტების) შესაბამისი მაღალხარისხიანი ინფრასტრუქტურული პროექტები.	

#### მუხლი 14. დასუფთავება და გარემოს დაცვა

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 452.0 ათასი ლარი. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარემოს დასუფთავება და ნარჩენების გატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება, კაპიტალური დაზანდებები დასუფთავების სფეროში, უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები და მდინარეზე ნაგვის დამჭერის მოწყობა. დაფინანსდება აღნიშნულთან დაკავშირებული ხარჯები, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება, ნარჩენების გატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა. შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქის სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება; ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან; მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა; ქალაქის ტერიტორიის კეთილმოწყობითი და გამწვანებითი სამუშაოები. ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, სკვერებში ბალახის გათიბვა ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მაწანწალა ძაღლების თავშესაფარში გადაყვანა.

<i>ათას ლარში</i>		
პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2023 წლის გეგმა
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	452.0
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	423.0
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	29.0

პროგრამის დასახელება	კოდი	დასუფთავება და ნარჩენების გატანას	დაფინანსება
----------------------	------	-----------------------------------	-------------

			ათას ლარში
	03 01		423.0
პროგრამის განმახორციელებ ელი	<b>ა(ა)იპ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის კომუნალური კეთილმოწყობის და დასუფთავების სამსახური</b>		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის მიზანია საზოგადოებისათვის ეკოლოგიურად სუფთა , კომფორტული და უსაფრთხო გარემოს შექმნა.</p> <p>ახორციელებს ქალაქისა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნაგვის ნარჩენების მოგროვებას და გატანას, რომელსაც ემსახურება 3 ერთეული ნაგვის გამტანი ავტომობილი. სამუშაოები ხორციელდება მუნიციპალიტეტის შემდეგ სოფლებში: სათხა,დიდი არაქალი,პატარა არაქალი,ოროჯალარი, განძა, ფოგა,ტამბოვკა რადიონოვკა ვლადიმეროვკა ,დიდი კონდრიო, პატარა გონდრიო, დილიფი,ყულალის,მამწვარა, ყაურმა,ემტია, თორია, უჩმანა,დიდი ხანჩალი,პატარა ხანჩალი, კათნატუ, გორელოვკა,სპასოვკა,ეფრემოვკა ჟდანოვკან , ორლოვკა,სამება,ჯიგრაშენი და პატარა ხორენია. შეგროვებული ნარჩენები გადის ჯიგრაშენის ნაგავსაყრელებზე.</p> <p>პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად გადის 30 მ/კუბ ნარჩენი.</p> <p>პროგრამიდან ასევე ფინანსდება მდინარე სუფსაზე არსებული ნაგავჩამკეტის გაწმენდითი სამუშაოები, რომლის ფარგლებშიც 2 დღეში ერთხელ ძრავიანაი ნავის საშუალებით ხორციელდება მდინარის გაწმენდითი სამუშაოები.</p> <p>პროგრამისთვის გამოყოფილ ასიგნებები ასევე მოიცავს ა(ა)იპ - ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის ადმინისტრაციულ ხარჯებს, მათ შორის, ხელშეკრულებით აყვანილ პერსონალის (მეზოვები, მძღოლები, ზედამხედველები და სხვა) ხელფასებს.ზამთრის პერიოდში ქალაქის ტროტუარების თოვლისგან გასუფთავება.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	დასუფთავებული ქუჩები და საზოგადოებრივი სივრცეები მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.		

პროგრამის დასახელება	კოდი	<b>მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება</b>	დაფინანს ება ათას ლარში
	03 02		29.0
პროგრამის განმახორციელებ ელი	<b>ა(ა)იპ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის კომუნალური კეთილმოწყობის და დასუფთავების სამსახური</b>		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის მიზანია ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დანერგვა, მათი მოვლა-პატრონობა, მორწყვა, შხამ ქიმიკატების შეტანა და ნიადაგის გაფხვიერება. განხორციელდება ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერებისა და გზის ნაპირის გაცვლავიტი სამუშაოები.</p>		

მოსალოდნელი შედეგი	გალამაზებული და გამწვანებული მუნიციპალიტეტი.
--------------------	--

### მუხლი 15. განათლება

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1 475.7 ათასი ლარი. განათლების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2023 წლის გეგმა
04 00	განათლება	1,475.7
04 03	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	
04 04	ნინოწმინდის საბავშვო ბაღების გაერთიანება	1,475.7

ათას ლარში

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	დაფინანსება ათას ლარში
	04 04		1,475.7
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ნინოწმინდის საბავშვო ბაღების გაერთიანება		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რომელიც მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ასევე, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიებებს გატარება.</p> <p>პროგრამის მიზანია ბაგა-ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა - შენახვა, ბაგა-ბაღებში დასაქმებული პერსონალისთვის შესაბამისი სამუშაო პირობების შექმნა.</p>		

	<p>ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები სააღმზრდელო პროცესის წარმართვისათვის უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი პირობებით, მათ შორის: სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები; სააღმზრდელო დაწესებულებებში და ა(ა)იპ - ნინოწმინდის საბავშვო ბაღების გაერთიანება დასაქმებული ადმინისტრაციული და სააღმზრდელო პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება სამუშაო პირობებით.</p> <p>მუნიციპალიტეტში არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მომსახურებით წლის გამავლობაში სარგებლებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 910 -ზე მეტი შესაბამისი ასაკის ბავშვი, რაც მუნიციპალიტეტში მცხოვრები ამ ასაკის ბავშვების 80 %-ს შეადგენს.</p>
<p>მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>მუნიციპალიტეტში მცხოვრები სკოლამდელი ასაკის ბავშვების განათლების დონის ამაღლება და მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობა. სკოლამდელი ასაკის ბავშვების სკოლისთვის მზაობა.</p>

### მუხლი 16. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1 121.0 ათასი ლარი. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	ათას ლარში 2023 წლის გეგმა
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	1,121.0
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	385.0
05 01 01	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	385.0
05 01 01 01	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	155.0
05 01 01 02	ა (ა) იპ სკოლისგარეშე საგანმანათლებლო დაწესებულება ნინოწმინდის კომპლექსური სასპორტო სკოლა	230.0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	535.0

<b>05 02 01</b>	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	535.0
<b>05 02 01 01</b>	ა (ა) იპ-ნინოწმინდის კულტურის ცენტრი	145.0
<b>05 02 01 02</b>	ა (ა) იპ-ნინოწმინდის მთავარი ბიბლიოთეკა	92.0
<b>05 02 01 03</b>	ა (ა) იპ-ნინოწმინდის სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულება	63.0
<b>05 02 01 04</b>	ა (ა) იპ-ნინოწმინდის სამუსიკო სკოლა	150.0
<b>05 02 01 05</b>	ა (ა) იპ-ნინოწმინდის ვაჰან ტერიანის სახელე-მუზეუმი	24.0
<b>05 02 01 06</b>	ა (ა) იპ-ნინოწმინდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი	27.0
<b>05 02 01 07</b>	ა (ა) იპ-ნინოწმინდის მუნიციპალური გაზეთი არშალუის	34.0
<b>05 03</b>	ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	70.0
<b>05 04</b>	ტრადიციული და კალენდარული დღესასწაულების ღონისძიებები	30.0
<b>05 05</b>	საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა	26.0
<b>05 06</b>	ინტელექტ-ჩემპიონატი «ეტელონი 2016»	
<b>05 07</b>	რელიგია	75.0

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ღონისძიებები	დაფინანსება ათას ლარებში
	05 01 01 01		<b>155.0</b>
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	<b>ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური</b>		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის მიზანია ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოება, წახალისება ფულადი და ფასიანი საჩუქრებით; სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებზე სპორტსმენებისა და მწვრთნელების ტრანსპორტირებაში დახმარება.</p> <p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარდება სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, მათ შორის: ჭიდაობა, ფეხბურთი, ფუთსალი, კარატე, მ. ჩოგბურთი, ფრენბურთი, სათხილამური, მასობრივი ღონისძიება, სასკოლო ოლიმპიადა, ბილიარდი, ჭადრაკი, 7X7 ფეხბურთის ჩემპიონატის “MASTER LEAGUE”, კიგბოქსი.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	მოსწავლეთა აქტიური ჩართულობა სპორტულ ღონისძიებებში. სპორტსმენთა წახალისება და დაჯილდოება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა (ა) იპ სკოლისგარეშე საგანმანათლებლო დაწესებულება ნინოწმინდის კომპლექსური სასპორტო სკოლა	დაფინანსება ათას ლარებში
	05 01 01 02		<b>230.0</b>

ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	<b>ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური</b>
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარება, მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა და მათთვის საწვრთნელი პირობების შექმნა, მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები მათ შორის: მ. ჩოგბურთი, კარატე, ფუტსალი, ფეხბურთი, ჭადრაკი, სათხი, ჭიდაობა, კიგბოქსი .
მოსალოდნელი შედეგი	ჯანსაღი სპორტული წესით დაინტერესებული მოსახლეობა. სპორტსმენთა წახალისება და დაჯილდოება.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	<b>ა (ა) იპ-ნინოწმინდის კულტურის ცენტრი</b>	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 01		<b>145.0</b>
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	<b>ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური</b>		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის კულტურული ღონისძიებებით დაინტერესება, მოსწავლე ახალგაზრდობის თავისუფალი დროის სწორად ორგანიზება და ტრადიციებისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და განვითარება. კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა. ქვეპროგრამა ითვალისწინებს: ა (ა) იპ „კულტურის ცენტრი“-ს მიერ ორგანიზებული ღონისძიებების დაფინანსებას, პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები.		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის მოსახლეობის , განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობის დაინტერესება და ჩართულობის ზრდა კულტურის სფეროში. კულტურულ ღონისძიებებში ჩართული მოსახლეობა		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა (ა) იპ-ნინოწმინდის მთავარი ბიბლიოთეკა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 02		92.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამის მიზანია მოსახლეობის მოთხოვნების ინტერესების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე მათი მომსახურებისათვის სათანადო პირობების შექმნა, ქალაქის და სოფლის ბიბლიოთეკების ხელშეწყობა; წიგნადი ფონდის შევსება თანამედროვე ლიტერატურით და დაკომპლექტება ყველა ასაკობრივი კატეგორიის მიხედვით, ითვალისწინებს კულტურული ობიექტების მოძიებას.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება, ჩართულობისა და ინტერესების ზრდა საბიბლიოთეკო წიგნების ფონდის განახლების გზით.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა (ა) იპ-ნინოწმინდის სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულება	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 03		63.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის კულტურული ღონისძიებებით დაინტერესება, მოსწავლე ახალგაზრდობის თავისუფალი დროის სწორად ორგანიზება.</p> <p>ქალაქ ნინოწმინდის სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებაში ფუნქციონირებს სხვადასხვა წრე, მათ შორის სამხატვრო, ქარგვის, ქსოვის, კერვის და სხვა.</p>
მოსალოდნელი შედეგი	<p>კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა. კულტურული მემკვიდრეობის შენაჩუნება და განვითარება.</p> <p>კულტურულ ღონისძიებებში ჩართული მოსახლეობის რაოდენობა.</p>

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა (ა) იპ-ნინოწმინდის სამუსიკო სკოლა	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 04		150.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის კულტურული ღონისძიებებით დაინტერესება, მოსწავლეთა თავისუფალი დროის სწორად ორგანიზება, მუსიკალური კუთხით განვითარება.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება მუსიკალური სკოლა, სადაც სწავლობს 170 მოსწავლე. პროგრამის მიზანია მისცეს მოსწავლეებს დაწყებითი სამუსიკო განათლება.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	<p>მუსიკის სფეროს განვითარების ხელშეწყობა. კულტურული მემკვიდრეობის შენაჩუნება და განვითარება.</p> <p>მუსიკალური ღონისძიებებში ჩართული მოსახლეობის რაოდენობა.</p>		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა (ა) იპ-ნინოწმინდის ვაკან ტერიანის სახელე-მუზეუმი	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 05		24.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა. კულტურული მემკვიდრეობის შენაჩუნება და განვითარება. მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის კულტურული ღონისძიებებით დაინტერესება. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება სოფელ განძის ვაჰან ტერიანის სახელობის მუზეუმი.
მოსალოდნელი შედეგი	კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა. კულტურული მემკვიდრეობის შენაჩუნება და განვითარება. კულტურულ ღონისძიებაში ჩართული მოსახლეობის რაოდენობა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	<b>ა (ა) იპ-ნინოწმინდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი</b>	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 06		<b>27.0</b>
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	<b>ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური</b>		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის კულტურული ღონისძიებებით დაინტერესება. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ქ. ნინოწმინდაში ფუნქციონირებს „მხარეთმცოდნეობის მუზეუმი“. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება თანამშრომელთა ანაზღაურება.		
მოსალოდნელი შედეგი	კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა. კულტურული მემკვიდრეობის შენაჩუნება და განვითარება. კულტურულ ღონისძიებაში ჩართული მოსახლეობის რაოდენობა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	<b>ა (ა) იპ-ნინოწმინდის მუნიციპალური გაზეთი არშალუის</b>	დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 07		<b>34.0</b>
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	<b>ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური</b>		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია მონიციპალიტეტის მოსახლეობის სრულყოფილი, ობიექტური და ზუსტი ინფორმაციის მოწოდება/ უზრუნველყოფა. რეგიონში, ქვეყანაში, მუნიციპალიტეტში პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ, საგანმანათლებლო-კულტურულ და სხვა სფეროში მიმდინარე მოვლენების ინფორმირება. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის გაშუქება, მოსახლეობისთვის პრობლემატურ/ მწვავე ხასიათის საკითხების წამოწევა. ხელი შეუწყონ კულტურული ფასეულობების შესახებ ინფორმაციის გადაცემასა და შენარჩუნებას, საზოგადოებისათვის მიუწვდომელი გახდეს ღირსეული მოქალაქეების შესახებ მასალების საშუალებით.		
მოსალოდნელი შედეგი	ახალგაზრდა შემოქმედთა აღმოჩენა და წახალისება. სომხურ - ქართული მეგობრების ხელშეწყობა და განმტკიცება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 03		70.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის პროგრამით განხორციელებული განცხადებებისა და ინფორმაციის გამოქვეყნება პრესაში, ტელევიზიასა და ინტერნეტ პორტალებში, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდებას. დაფინანსდება სატელევიზიო გადაცემა .</p> <p>პროგრამის ფარგლებში ფინანსდება პრესა და ადგილობრივი ტელევიზია, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის ცნობიერებას.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	ინფორმაციის სფეროს განვითარების ხელშეწყობა. საინფორმაციო პროგრამებში ჩართული მოსახლეობის რაოდენობა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ტრადიციული და კალენდარული დღესასწაულების ღონისძიებები	დაფინანსება ათას ლარში
	05 04		30.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის კულტურული ღონისძიებებით დაინტერესება.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზება და სადღესასწაულო ღონისძიებების მოწყობა, მათ შორის:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- საზეიმო ღონისძიებები , მიძღვნილი საქართველოს დედასა და საერთაშორისო ქალთა დღისადმი</li> <li>- ქალთა საერთაშორისო დღე: მრავალშვილიან დედეებთან შეხვედრა</li> <li>- სომხური ნამცხვარი "ქადის" ფესტივალი</li> <li>- დედა ენის - ქართული ენის დღე</li> <li>- "ძალა ერთობაშია" - საზეიმო ღონისძიებები, მიძღვნილი საქართველოს გაერთიანების დღისადმი(საზეიმო სვლა ქ. ნინოწმინდა, ჰაიოს-ქართლოს პარკის მემორიალთან, ყვავილებით და გვირგვინებით შემკობა, თემატური კონცერტი)</li> <li>- მსოფლიო აქცია -დედამიწის დღესთან დაკავშირებით ახალგაზრდებსა და უფროსკლასელებს შორის</li> <li>- სვლა სომეხი ხალხის გენოციდის მსხვერპლთა ძეგლთან , ყვავილებით და გვირგვინებით შემკობა</li> </ul>		

	<ul style="list-style-type: none"> <li>- პრესის თავისუფლების დღესთან დაკავშირებით ქალთა ჟურნალისტებთან შეხვედრა</li> <li>- საზეიმო სვლა მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ძეგლთან ქალაქის პარკში, ყვავილებისა და გვირგვინების შემკობა</li> <li>- ოჯახის საერთაშორისო დღე- შეხვედრა ახალგაზრდა ქალებთან</li> <li>- მუზეუმის საერთაშორისო დღე</li> <li>- ღონისძიებები მძღვნილი საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი</li> <li>- "სათხა - მამულის დაცვის ციხე-სიმაგრეა" სოფლის დღესასწაული</li> <li>- ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესასწაულთან დაკავშირებით ღონისძიებები</li> <li>- სოფ. სპასოვკაში დღესასწაული "ღორჯომელობას" გატარება</li> <li>- დიდი ქართული მწერალი დუმბადის ძიმულეზულნი ღონისძიება</li> <li>- ვ. ტერიანის პოეზიის ტრადიციული დღეები ს. განძაში</li> <li>- ღონისძიება გაეროს კონვენციის "ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ" მიღებასთან დაკავშირებით არასამთავრობო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ</li> <li>- ვიკტორ ჰოვსეფიანის პოეზიის დღე სოფ. ჰემტიაში</li> <li>- " ქალაქის დღესასწაული" ( ქალაქის საზეიმო გაფორმება, სხვადასხვა გამოფენების ორგანიზება, კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში აქტიურ მონაწილეთა დაჯილდოება, საპატიო სტუმრების გამასპინძლება)</li> <li>- სოფლებში მცხოვრებ ქალთა საერთაშორის დღისადმი</li> <li>- სომხური და ქართული ნაციონალური სამზარეულოს ფესტივალი-საუკეთესო ნიმუშების დაჯილდოება სიგელებით, დიპლომებით და საჩუქრებით</li> <li>- საზეიმო ღონისძიებები მიძღვნილი მასწავლებლის დღისადმი( მუნიციპალიტეტის მასწავლებლების შეკრება , საუკეთესო მასწავლებლების პატივისცემა და წახალისება)</li> <li>- სომხეთში მიწისძვრის შედეგად მსხვერპლთა ხსოვნისადმი ყვავილების დადგმა ქ. ნინოწმინდის სურბ სარგის ეკლესიის ტერიტორიაში არსებულ მემორიალთან</li> </ul>
<p>მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>კულტურის, სპორტის, გენდერული თანასწორობის სფეროს განვითარების ხელშეწყობა და განვითარება. კულტურული, სპორტის, გენდერული თანასწორობის ღონისძიებაში ჩართული მოსახლეობის რაოდენობა.</p>

<p>ქვეპროგრამის დასახელება</p>	<p>კოდი</p>	<p>საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა</p>	<p>დაფინანსება ათას ლარში</p> <p><b>26.0</b></p>
<p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური</p>	<p>ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური</p>		

პროგრამის ფარგლებში ფინანსდება მუნიციპალიტეტში ჩატარებული სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის:

- თოვლიანი ფიგურების კონკურს ფესტივალი "ზღაპრების გმირები თოვლში".
- კონკურსის მუნიციპალური ეტაპი "საქართველო ჩემო სამშობლო" თემაზე
- "ჩემი საყვარელი მხარე" თემაზე ვიდეორგოლების კონკურსი საჯარო სკოლების მოსწავლეთა შორის .
- ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი "თოპუზი" (2ტურად) :პირველი ტური-ნინოწმინდაში მეორე ტური- ბათუმში.
- ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები.
- საინფორმაციო დაფების მოწყობა(ლოკაცია: ს.დიდი გონდურა, ს.პატარა ხანჩალი, ნინოწმინდა).
- "საქართველო ჩემი სამშობლოა" თემაზე კონკურსში გამარჯვებულებისთვის ექსკურსიის ორგანიზება.
- შეხვედრები სოფლის ქალებთან.
- ეთნოგრაფიული ფესტივალი "ფუძეობა".
- ფოტოკონკურსი -გამოფენა ნინოწმინდის ტურისტული ადკვეთილები.
- ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები( მუნიციპალიტეტის სხვადასხვა დარგის წარმატებული ახალგაზრდების შეკრება, მათი წახალისება , ახალგაზრდულ - გასართობი ღონისძიებების ორგანიზება ქ. ნინოწმინდის კულტურის ცენტრში).
- სკოლის აქტივისტების გაცნობა ადგილობრის ისტორიულ ძეგლებთან.
- სიმღერის ფესტივალი-(ფესტივალში მონაწილეთა ტრნსპორტირება სოფლებიდან, საუკეთესო მომღერლების დაჯილდოება სიგელებით და საჩუქრებით).
- ინტელექტუალურ თამაში "რა,სად, როდის" მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების უფროსკლასელთა შორის.
- მუნიციპალური ახალგაზრდული აქცია " ისტორიულ და კულტურულ ძეგლთა გასუფთავებისა და კეთილმოწყობის კვირა".
- მხატვრული კითხვის ფესტივალი.
- სახვითი ხელოვნების კონკურსი-გამოფენა "ოქრო შემოდგომა" (სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებაში).
- ვიქტორინა მშობლების გარეშე ბავშვების მონაწილეობით და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მონაწილეობით
- ცეკვის ფესტივალი (ფესტივალში მონაწილეთა ტრნსპორტირება სოფლებიდან, საუკეთესო მოცეკვავეების დაჯილდოება სიგელებით და საჩუქრებით).
- ხელოვნების წრის ნამუშევრების გამოფენა(სკოლისგარეშე დაწეს).
